საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე ინგა ბორისის ასული

თევზაძე ინგა ბორისის ასული (დ. 30. VII. 1941, თბილისი), მოცეკვავე და ბალეტმაისტერი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1958-იდან სწავლობდა თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტის ხალხ. ცეკვების რეჟისორ-საბალეტმაისტერო ფაკ-ტზე (1987). 1961-იდან იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის (ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართ. ნაც. ბალეტი) სოლისტი. 1990-იდან – ბალეტმაისტერი. თ. მონაწილეობას იღებდა ანსამბლის მთელ რეპერტუარში. ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში: „სიმდი”, „აჭარული”, „მიპატიჟება”, „დავლური”, „სამაია” და სხვ. თ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია მუსიკალობა, სინარნარე, არტისტიზმი, პლასტიკურობა.